პროლეტარელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ა.ქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ხუთშაბათი, 18 თებერვალი 1937 წ. № 40 (4842)

ფასი 10 კაპ.

სამშობლოს დაცვა არის საქართველოს სსრ-ის თვითეული მოქალაქის უწმინდესი მოვალეობა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა — ისჯება კანონის მთელი სისასტიკით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება.

საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციიდან

გადამწყვეტი მომენტი

სუბტროპიკული რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეწარმეო-მოქმედო ორგანიზაციები საბრძოლო ამოცანის წინაშე დგანან. ორდენოსანმა საქართველომ საქმით უნდა გაანაღდოს დიდი ბელადისათვის მიცემული სიტყვა და საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს მისცეს წელს ციტრუსთა ნახევარი ძლიერი ნაყოფი. ამის შესრულება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად ჩავატარებთ ციტრუსთა საზამთრო სამუშაოებს.

მასალები, რომლებიც მოგვეპოვება, მოწმობენ, რომ ციტრუსთა საზამთრო სამუშაოები ძალზე სუსტად მიმდინაოეობს. როგორც სჩანს, მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ გაუთვალისწინებიათ გადამწყვეტი მომენტის მთელი სერიოზულობა, სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ ციტრუსთა სამუშაოებს.

ეს განსაკუთრებით ითქმის აფხაზეთზე. ციტრუსთა მაღალმოსავლიანობისათვის ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ყინვისაგან დაცვა წარმოადგენს. აფხაზეთში ამ მხრივ მრავალ ნაკლს ვხედებით. ნ. ლაკობას სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ციტრუსთა გამოზამთრებაში ყველაფერი რიგზე არ არის, 30-31 დეკემბერს ყინვებმა იქ 142 ძირი ლიმონი დააზიანა. მეურნეობის დირექტორს ამხ. ალექსანდრე ამაბას და უფროს აგრონომს ამხ. ა. ვანიუკოვს მანამდე არ მიუღიათ საჭირო ზომები, სანამ მიწასახკომის მუშაკები არ მივიდნენ იქ მდგომარეობის შესამოწმებლად. ტენიანი სუბტროპიკული კულტურების (სოხუმი) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებზე ლიმონის ნარგავებს არ გაუკეთეს საფარი გათბობით, რის გამო დაიღუპა 40 ძირი ლიმონი. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კი სხვებისათვის საუკეთესო მაგალითის მიმცემი უნდა იყოს!

იქ, სადაც პარტიული, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანიზაციების მთელი ყურადღება მიპყობილი იყო ყინვისაგან ციტრუსთა დაკვისაკენ, მკაცრმა ყინვებმა ციტრუსებს ვერაფერი დააკლო. დეკემბრის ბოლო რიცხვებსა და 1-2 იანვარს ქობულეთის, ბათომის, მახარაძის, ლანჩხუთის, ფოთის, ზუგდიდის და ცხაკაიას რაიონებში ტემპერატურა დაეცა მინუს 8 და 10 გრადუსამდე. მაგრამ ყინვებმა ციტრუსებს ზარალი ვერ მიაყენა. ჯოხორის (აფხაზეთი) საბჭოთა მეურნეობაში 1-2 იანვარს მინუს 11 გრადუსი სიცივე იყო, მაგრამ არცერთი ძირი ციტრუსი არ დაზიანებულა. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მეურნეობის დირექცია (ამხ. გაბუნია) კარგად მოემზადა ციტრუსთა გამოზამთრებისათვის.

ხელმეორედ უნდა შემოწმდეს ციტრუსების ფარდულები და შეფუთული ხეები. განსაკუთრებით ეს ამჟამად არის საჭირო, რადგან, მეტეოროლოგიური მონაცემებით, 15 მარტამდე მკაცრი ყინვებია მოსალოდნელი.

მოსავლიანობის გადიდების მეორე, მეტად მნიშვნელოვანი, ღონისძიებაა ციტრუსთა მავნებლებსა და ავადმყოფობასთან ბრძოლის დროულად გატარება. ამ მხრივაც ჯეოჯერობით არა გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ციტრუსთა საზამთრო შეწამლვა 15 მარტისათვის უნდა დამთავრდეს. მაგრამ ზოგიერთი რაიონის რაიმოწგანი და მტს-ი კვლავ ერთ ადგილს სტკეპნის, არ აფასებენ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას. ადგილები თუმცა უზრუნველყოფილი არიან შესაწამლავი შხამით და აპარატურით, მაგრამ ეს შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სათანადოდ არ გამოუყენებიათ ფოთის, ხობის, აბაშის, გეგეჭკორის. ჩხოროწყუს, გუდაუთის და სოხუმის რაიონებს.

ციტრუსთა საზამთრო სამუშაოებში რომ დაჭიმული მდგომარეობაა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ნაკელის დამზადება მთელ რიგ რაიონებში (მახარაძე, ლანჩხუთი, ფოთი, აბაშა, წულუკიძე წალენჯიხა) საგრძნობლად ჩამორჩა. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია მით უმეტეს, რომ ნაკელის შეტანის დონა წელს გაცილებით გადიდებულია შარშანდელთან შედარებით.

დასკვნა ერთია: მთელ რიგ რაიონების ხელმძღვანელი ორგანოები დღემდე დაუშვებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ ციტრუსთა სამუშაოებისადმი. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს იმ გარემოებას, როცა პარტიული და სამეწარმეო-მოქმედო ორგანიზაციები ყურადღებას აქცევენ ერთი სახის სამუშაოს და დანარჩენებს კი მეორე-მესამე ხარისხოვნად თვლიან. ციტრუსთა სამუშაოების მორიგეობითი პრაქტიკა უნდა აღიკვეთოს.

ციტრუსთა სამუშაოებში ჩამორჩენა უნდა გამოსწორდეს. ამ სამუშაოთა სანიმუშოდ შესრულება ძირითადად სწყვეტს უხვი მოსავლის მიღებას. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს. თვითეული დღე ძვირფასია. უნდა მივიღოთ ყველა საჭირო ზომა ციტრუსების სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. ციტრუსთა სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულოთ.

ოპერის მუშაკები — ამხ. ლ. ბერიას

ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო **ლავრენტი!**

თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის კოლექტივი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება საოპერო ხელოვნების შემდგომი განვითარების შესახებ, მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, გამოწრთობილ ბოლშევიკს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, ორდენოსანი საქართველოს საამაყო ხელმძღვანელს.

ქართული ვოკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების უდიდესი გამარჯვება, ჩვენი უსაზღვროდ საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ბელადის მიერ აღნიშნული გამარჯვება შედეგი იყო იმ მუდმივი, კონკრეტული ხელმძღვანელობისა, განსაკუთრებული მზრუნველობისა საოპერო ხელოვნებისადმი, რასაც თქვენ ყოველდღე იჩენთ.

სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საოპერო თეატრის შემდგომ აძოცანათა შესახებ ერთხელ კიდევ დასტურებს, თუ როგორ იზრდება, მტკიცდება და ვითარდება ხელოვნება დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებისა, რომელნიც მსოფლიოში უბედნიერესნი არიან.

ჩვენი თეატრის ცხოვრებასა და მუშაობაში ეს ისტორიული გადაწყვეტილება ჩვენი თეატრის კოლექტივს ვალდებულს ხდის უფრო მჭიდროდ დაირაზმოს ჩვენი მშობლიური პაატიის გარშემო, მთელი ძალა და ენერგია სოციალისტური ხელოვნების ახალ მწვერვალთა მიღწევას მოანდომოს.

ჩვენი პარტიისა და ძთავრობის საყვარელ ბელადთა უდიდესი ყურადღებით აღფრთოვანებულნი და გამთბარნი, ჩვენდამი თქვენი სიყვარულითა და მზრუნველობით გამხნევებულნი, მტკიცე პირობას გაძლევთ, რომ ვიმუშავებთ დაუღალავად, ვიმუშავებთ ერთსულოვნად იმ უდიდეს ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად, რომლებიც ჩვენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებამ დაგვისახა.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიად კომუნისტურ პარტიას და მის ბრძენ ბელადს — ჩვენს ძვირფას სტალინს!

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს, ხელოვნების მეგობარს, ჩვენს ძვირფას, საყვარელ ლავრენტი ძავლესძე ბერიას!

აფხაზეთის მე-7 მოწვევის ცაკის მე-3 სესია

ანს. აგრბა — აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე

სოხუმი, 17 თებერვალი (საქდეს). 17 თებერვალს, საღამოს შესდგა აფხაზეთის მე-7 მოწვევის ცაკის მე-3 სესია.

სესიამ თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩია ამხ. **ალექსი სერგეის-ძე აგრბა.**

სესიამ დაამტკიცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად ამხ. ჟუჟუნავა, იუსტიციის სახალხო კომისრად — ამხ. ეგნატე დავითის-ძე ვარდანია, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრად — ამხ. ანატოლი კუტიას-ძე ვარდანია, შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისრად — ამხ. ბოლქვაძე.

ამხ. ეგოროვი ჩავიდა კაუნასში

კაუნასი, 16 თებერვალი (საქდეს). 15 თებერვალს კაუნასში ჩამოვიდნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი ეგოროვი და მისი თანმხლები პირები — დივიზიის მეთაური შჩეგლოვი, პოლკოვნიკი ჩორნიხი, მაიორი ბალმიკოვი და კაპიტანი პინჩეკსკი, აგრეთვე ლიტვის სამხედრო ატაშე სსრ კავშირში პოლკოვნიკი სკუჩასი.

კაუნასის ვაგზალზე ეგოროვს შეხვდნენ ლიტვის არმიის გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ჩერნაუსი, გენერალი ადამკავიჩიუსი, ლიტვის არშიის გენერალური შტაბის მეორე განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი დულკსნისი, სამინისტროების პასუხისმგებელი მოხელეები და ლიტვის პრესის წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში პოდოლსკი და საბჭოთა კოლონია კაუნასში.

კაუნასი, 16 თებერვალი (საქდეს). მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. ეგოროვმა გუშინ კაუნასში ჩამოსვლისთანავე ინახულა ლიტვის სამხედრო მინისტრი პოლკოვნიკი დირმანტასი, ლიტვის არმიის მთავარსარდალი პოლკოვნიკი რაშტიკისი და ლიტვის არმიის გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ჩერნიუსი.

დღეს დილით ამხ. ეგოროვი ეწვია ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრს ლოზორაიტისს.



საბჭოთა საქართველოს სუპერინური კონსტიტუცია

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე 1937 წ. 10 თებერვალს

ამხანაგებო!

ვუდგები რა მოხსენებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, რომელიც თავიდან ბოლომდე აშენებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის უკვე დამტკიცებულ სტალინურ კონსტიტუციაზე, ჩვენი პირველი სიტყვა უღრმესი სიყვარულისა და გულწრფელი მადლობისა მიმართულია სწორედ ამ ახალი სოციალისტური კონსტიტუციის მამისადმი ანუ მისი შემქმნელისადმი, — ხალხთა ბრძენი ბელადის—დიდი სტალინისადმი! **(ხანგრძლივი ტაში და ოვაცია, მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).**

დღეს ჩვენ, როგორც საქართველოს და ქართველი ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები, შეკრებილნი ამ ყრილობაზე, რომელიც მოწოდებულია განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია ანუ ძირითადი კანონი, მთელი ჩვენი ხალხის სახელით განსაკუთრებული სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით მივმართავთ ამხანაგ **სტალინს,** ქართველი ხალხის ამ სასიქადულო შვილს, რომელიც არის ნამდვილი ფუძემდებელი საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში ლენინიზმის და ბოლშევიკური პარტიისა და უპირველესი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იმ რევოლუციური მოძრაობისა, რომელმაც მიიყვანა ჩვენი ხალხი სრულ გამარჯვებამდე.

ვაშა ქართველი ხალხის გენიალურ შვილს—ამხანაგ სტალინს—იოსებ ჯუღაშვილს! **(ხანგრძლივი ოვაცია, მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).**

საკონსტიტუციო კომისია

ამხანაგებო! როგორც იცით, გასული 1936 წლის 25 ივნისს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, გამოყოფილ იქნა კომისია, ამხ. **ლ. ბერიას** თავმჯდომარეობით, რომელსაც მიენდო სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საფუძველზე, რომელიც მოწონებულ იქნა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1936 წლის ივნისის 11-ს, საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის დამუშავება და ამ დამუშავებული პროექტის წარდგენა განსახილველად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისათვის. კომისიამ შეასრულა ეს დავალება, და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა ამა წლის 1 თებერვლის სხდომაზე მოისმინა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლ. ბერიას მოხსენება საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის შესახებ, დაადგინა: 1) სსრ კონსტიტუციის პროექტი, წარმოდგენილი საკონსტიტუციო კომისიის მიერ, მოწონებულ იქნა, და 2) სსრ კონსტიტუციის პროექტი შეტანილ იქნა განსახილველად სრულიად საქართველოს საბჭოების **საგანგებო მე-8 ყრილობაზე.**

როგორც იცით, ამ დღეებში გამოქვეყნდა, როგორც ეს დადგენილება, ისე თვით კონსტიტუციის პროექტიც.

საქართველო წარსულში

სანამ საქართველოს სსრ პროექტზე გადავიდოდე საჭიროდ მიმაჩნია შევეხო მოკლედ ერთ საკითხს, სახელდობრ: რას წარმოადგენდა დღევანდელი საქართველო, სანამ ჩვენში დამყარდებოდა საბჭოთა ხელისუფლება და საქართველო გადაქცეოდა აყვავებულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად!

რომ შორს არ წავიდეთ, ვიტყვი აქ მხოლოდ შემდეგს: მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველომ მთლიანად დაკარგა დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა და სავსებით ჩაუვარდა ხელში რუსეთის ხალხის ჯალათურ მთავრობას—მეფის თვითმპყრობელობას. და ამგვარად საქართველო მთელ ამიერკავკასიასთან ერთად მოექცა რუსეთის იმპერიალიზმის კლანჭებში.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი ამიერკავკასიის სხვა დაპყრობილ ხალხებთან ერთად (თურქები, სომხები, ოსები, აფხაზები და სხვ.) განიცდიდა ორგვარ ჩაგვრას: იგი იტანჯებოდა—ერთის მხრივ—მეფის ღენერლების და სხვა დიდი თუ პატარა მოხელეების მიერ და, მეორეს მხრივ—ქართველი მებატონე-მემამულეებისა და სხვა მჩაგვრელ კლასების მიერ.

ქართველი ხალხი, ე. ი. გლეხობა, გმინავდა და ღელავდა, მაგრამ მისი მოსარჩლე და დამხმარე დიდი ხნის განმავლობაში არსად ჩანდა. როგორც ვიცით, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ ხდებოდა გლეხების აჯანყებები, როგორც რუსის მთავრობის, ისე მებატონე-მემამულეების წინააღმდეგ, რომელთაც თვითმპყრობელი მთავრობა თავბადაზნაურობის დაზმარებით ენით გამოუთქმელი სასტიკით აჭრობდა.

მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება რუსეთის თვითმპყრობელობის და რუსეთის გაბატონებული კლასების ნამდვილი მესაფლავე. ეს იყო დიდი რუსის ხალხის, რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობა.

რუსეთის მუშათა კლასს გაბმული საუკუნის მეოთხმოცდაათე წლებში გამოუჩნდა უდიდესი წინამძღოლი, უდიდესი მასწავლებელი და ორგანიზატორი — გენიალური **ლენინი,** რომელმაც ხორცი და სისხლი შეასხა მარქსის და ენგელსის რევოლუციურ და სოციალისტურ იდეებს, განავითარა, გაალრმავა ეს იდეები და დარაზმა მუშათა რიგები, რომელთაც დაუკავშირა გაძვალტყავებული და გაპარტახებული გლეხობა თვითმპყრობელობის და მთელი ბურჟუაზიულ-მემამულურ წესწყობილების დასამხობად.

ამიერკავკასიას და საქართველოს მშრომელებსაც გამოუჩნდა უდიდესი ხელმძღვანელი, მასწავლებელი და ორგანიზატორი, რომელიც მარქსის, ენგელსის და ლენინის დროშით უშიშრად და მტკიცედ წარუძღვა წინ საქართველოს და ამიერკავკასიის მუშებს და გლეხებს, ეს იყო ჩვენი დიდი ბელადი — ამხანაგი **სტალინი.**

პირველი იერიში, პირველი შტურმი, მიტანილი თვითმპყრობელობის სიმაგრეზე 1905 წელს, მარცხით დამთავრდა. მაგრამ ბოლშევიკების პარტიამ **ლენინის** და **სტალინის** ხელმძღვანელობით, მოამზადა და უზრუნველყო 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება და რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობა სამუდამოდ, ხოლო იმავე წლის ოქტომბრის თვეში პეტერბურგის და მოსკოვის მუშებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, **ლენინის** და **სტალინის** მეთაურობით, დაამხეს ბურჟუაზიული წესწყობილება, ხელში ჩაიგდეს მთელი სახელმწიფოს ძალაუფლება. დამყარებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნას.

საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება პირველ რიგში იყო მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მთელი მიწის მშრომელ გლეხობაზე გადაცემა უსასყიდლოდ, და საწარმოო-საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა მსხვილ მრეწველობაში. საბჭოთა ხელისუფლების ასეთივე ძირითადი ღონისძიება იყო რუსეთის იმპერიის მიერ დაჩაგრულ და დამონებულ ხალხთა განთავისუფლება, იმათთვის ეროვნული თვითგამორკვევის უფლების მინიჭება და, საერთოდ, იმათი სრული თანასწორობის აღიარება.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ის უდიდესი საზოგადოებრივი ცვლილებები, ის უდიდესი გარდატეხა ხალხთა ცხოვრებაში, რომელიც გამოწვეა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, უზრუნველყო რუსის სახელოვანმა მუშათა კლასმა თავისი გმირული და თავდადებული ბრძოლით რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში. მაგრამ რაც უმთავრესია,—ეს ის, რომ რუსეთის მუშებმა, რუსეთის პროლეტარიატმა უსასტიკესი სამოქალაქო ომის ხანაში შესძლო ოქტომბრის რევოლუციის ყველა უდიდეს მონაპოვართა შენარჩუნება და დაცვა. ჩვენ აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ და ხაზი გავუსვათ რუსის მუშების უდიდეს ღვაწლს რუსეთის რევოლუციის ისტორიაში, რომლებმაც შემდეგში აუცილებელი გახადეს საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ ქართველ მენშევიკების ყოვლად სამარცხვინო როლი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მათ უღალატეს რუს მუშებს, იმ დროს, როცა ისინი გააფთრებით იბრძოდნენ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად და დასაცავად—იმ მონაპოვართა დასაცავად, რომლებიც ყველა დაჩაგრულ და დამონებულ ხალხს, და იმათ შორის ქართველ ხალხსაც, ანიჭებდნენ სრულ თავისუფლებას და ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას. როგორც კი რუსეთში გაიმარჯვა მუშათა კლასმა, ქართველმა მენშევიკებმა სომხეთის დაშნაკებთან და აზერბაიჯანის მუსავატელებთან ერთად საქართველო და ამიერკავკასია გამოთიშეს საბჭოთა რუსეთიდან, და იმავე დროს მთელი ამიერკავკასია გადააქციეს კონტრრევოლუციონერთა ბუდედ. იმათ გამართეს მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთის მტრებთან, მეფის შავ ღენერლებთან: ალექსეევთან, კორნილოვთან, კალედინთან, დენიკინთან და ვრანგელთან. იმათ შემოიყვანეს საქართველოში აჯანყებული გლეხების დასათურგნავად და გასანადგურებლად ჯერ თურქეთის ფაშების და გერმანიის კაიზერის ჯარები, ხოლო შემდეგ—ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის იმპერიალისტური ჯარები. ამნაირად საქართველო იმათ გადააქციეს „გასავლელ ეზოდ“ ყველა კონტრრევოლუციურ ავანტურისტისა და ბნელ ელემენტისათვის.

მენშევიკები ურცხვად და უტიფრად ყოველ ჯვარედინ გზაზე გაიძახოდნენ თავის „სახელმწიფოს დამოუკიდებლობაზე“. **მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო, რომ ეს იყო სრული დამოკიდებულება უცხოეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია).** ამათი შემწეობით და ხახმარებით მენშევიკებმა მოაწყეს ბურჟუაზიული სახელმწიფო. მიწა, მისი წიაღი, წყალი და ყოველგვარი წამოწყებები (ფაბრიკები, ქარხნები და სხვ.) კერძო მეპატრონეების ხელში დატოვეს. იმათი „აგრარული რეფორმა“ იმაში გამოიხატა, რომ მეამულეებმა მაინც შეინარჩუნეს დიდძალი მიწები, ხოლო უმიწო-წყლო და მცირე მიწიან გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მეფის დროსთან შედარებითაც-კი.

მენშევიკები ხედავდნენ, რომ იმათ სახელმწიფოს არსებობას დღითიდღე ყოველივე ნიადაგი ეცლებოდა და ახლოვდებოდა მათი სრული კატასტროფა. ამიტომ მათ გადასწყვიტეს საქართველოს სიმდიდრეთა გადაცემა ევროპის კაპიტალისტებისათვის მეტად დამამცირებელ და კაბალურ პირობებში, ოღონდ კი თავიანთი არსებობა კიდევ გაეგრძელებინათ. ამ მიზნით გაგზავნილ იქნენ ევროპაში მენშევიკების წარმომადგენლები და მინისტრები კ. კანდელაკის მეთაურობით, რომლებმაც მოიარეს ევროპის უმთავრესი ქალაქები (პარიზი, ლონდონი, რომი) და ისეთი ხელშეკრულებები დასდეს ევროპის კაპიტალისტებთან და ფინანსისტებთან, რომელთა ძალით საქართველოს მიწა-წყლის და ყოველივე ბუნებრივი სიმდიდრის (მადნეულობის, მინერალური წყლების), რკინიგზების და სხვა მნიშვნელოვან წამოწყებების ბატონ-პატრონებად ევროპის კაპიტალისტები უნდა გამხდარიყვნენ. ერთი სიტყვით, საქართველო მენშევიკების მიერ იყიდებოდა როგორც ბითუმად, ისე ცალობით. ქართველი ხალხის ამ დამამცირებელ და დამღუპავ ხელშეკრულებების განხორციელებას ბოლო მოუღო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში.

ყველაზე უდიდესი დანაშაული მიუძღვით მენშევიკებს გლეხების და ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. რევოლუციურ გლეხების ჯანყებები მენშევიკებმა კონტრრევოლუციურ ვანდეას სახელწოდებით მონათლეს. ასეთი „ვანდეა“ იმათ აღმოაჩინეს გორში, სამხრეთ-ოსეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, აფხაზეთში, დუშეთში, საჩხერეში, აჭარაში და სხვ. ამ რაიონების და ოლქების აჯანყებული გლეხები, რომლებიც მოითხოვდნენ მიწას, საბჭოთა ხელისუფლებას და რუსეთის რევოლუციურ მუშებთან შეწყვეტილ კავშირის აღდგენას, სასტიკად იჭნენ დასჯილნი მენშევიკების მიერ.

უდიდესი დანაშაული ჩაიდიხეს მენშევიკებმა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. როგორც ცნობილია, მენშევიკების ხელისუფლებამ ჯვაროსანული ომი გამოუცხადა საქართველოში მოსახლე ხალხებს: ოსებს, აფხაზებს, აჭარლებს, რომელთაც გაბედეს და დასვეს საკითხი მათთვის ავტონომიური უფლებების მინიჭების შესახებ. მენშევიკების გვარდიამ ჯალათ ვალიკო ჯუღელის და სხვების მეთაურობით ცეცხლს მისცა და ფერფლად აქცია საძხრეთ-ოსეთი. ასეთივე დღე დააყენეს მენშევიკებმა აფხაზებსა და აჭარლებსაც. ყოველდღე მენშევიკური გვარდიის და ჯარების სისხლიანი ძეტაკებები საქართველოში მოსახლე ხალხებთან, საქართველოს გლეხებთან და მუშებთან, მუდმივი დაპყრობელი რაზმები, ეკზეკუციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში,— აი დაანლოვებთ ის სურათი, რომელსაც წარმოადგენდა მენშევიკური საქართველო.

ცნობილია აგრეთვე, რომ მენშევიკები შეეცადნენ „გაეწმინდათ“ თბილისი და სხვა ქალაქები სომხებისაგან, სომეხ - მშრომელებისაგან, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ დიდი ხნიდან. მენშევიკების ასეთი დიდმპყრობელური პოლიტიკა ეროვნულ უმცირესობებისადმი აიხსნებოდა იმათი უკიდურესი და კაციჭამია ნაციონალიზმით და შოვინიზმით, რის გამო ქართველებსა და საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას შორის ბოლო მოეღო ძმურ ურთიერთობას და მის ნაცვლად ჩამოვარდა უნდობლობა და შუღლი. მენშევიკებმა თავიანთ იმპერიალისტურ მისწრაფებათა ნიადაგზე გამოიწვიეს სისხლიანი ომი ძმურ სომხეთთან. მენშევიკებმა მუსავატელებთან და დაშნაკებთან ერთად გადაკიდეს და გადაამტვრეს ერთმანეთს ძმური ხალხები: ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები.

რა თქმა უნდა, თავისი ნაციონალიზმით და შოვინიზმით მენშევიკებს არც დაშნაკები და მუსავატელები ჩამოუვარდებოდნენ. სამივე ეს პარტია მოევლინა ამიერ-კავკასიის ხალხებს, როგორც მათი ბოსისხლე მტერი.

სურათის სიცრულისთვის საჭიროა დავასახელოთ აქ კიდევ ამ პარტიების შემდეგი უდიდესი დანაშაულები: 1) 1918 წელს 10 თებერვალს თბილისში კომუნარების ბაღში მუშათა მშვიდობიანი მიტინგის მუხანათურად დახვრეტა; 1918 წლისვე დასაწყისში სადგურ შამხორთან რუსეთში მიმავალი რუსის პოლკების ასევე მუხანათურად გაწყვეტა; და, ამავე პარტიებმა ესერებთან ერთად ხელი შეუწყვეს ბაქოს 26 კომუნარების მუხანათურ დახვრეტას. ამ პარტიების მიერ ათასობით დახოცილ მუშების და გლეხების სისხლს იმათგან ვერავინ ჩამორეცხს.

ქართველი მენშევიკები სრულიად გაკოტრდნენ აგრეთვე კულტურის და სახალხო განათლების საქმეში, კულტურული საქმიანობა, ხელოვნება, თეატრი და სხვა მათ სრულიად მიივიწყეს და ყოველივე ეს კერძო პირების თაოსნობაზე იყო მინდობილი. სახალხო სკოლებიც სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული. სასკოლო შენობები უმეტეს ნაწილად აუბარმებად გადაქცეულ. სახალხო მასწავლებლები და შეგირდები სიმშილს და სიცივეს განიცდიდნენ. დიდმპყრობელური მისწრაფებებით გაჟღენთილები, მენშევიკები შეუდგნენ ეროვნულ უმცირესობათა სკოლების გაქართულებას, ე. ი. ბავშვების სწავლებას არა დედაენაზე, არამედ მათთვის გაუგებარ ენაზე, როგორც ეს ხდებოდა მეფის დროს.

ამგვარად, მენშევიკებს პირდაპირ დაღუპვისაკენ მიეყვანათ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა. საჭირო იყო იმათი თავიდან მოშორება. საქართველოს მშრომელებმა კიდევაც გადაისროლეს ისინი შავ ზღვას იქით და საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის წითელი დროშა ააფრიალეს. ეს მოხდა 1921 წლის 25 თებერვალს. ეს იყო როგორც ქართველი ერის, ისე ყველა სხვა ერების, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ, ნამდვილი განთავისუფლება და აღორძინების გზაზე დაყენება.

(ბაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

პუშკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

გუშინ, 17 თებერვალს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში შეესწრა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაღუპვიდან ასი წლისთავის შესრულებისადმი.

სცენა საზეიმოდ არის მორთული. წითელ-შავ ფონზე ელვარებს რუსეთის დიდი პოეტის სურათი; გირლიანდებით შემკული.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები: ფ. მახარაძე, ე. ბედია, გ. სტურუა, ე. გორდელაძე, ა. თათარაშვილი, მ. ნიორაძე, ვ. ბოლქვაძე, შ. დადიანი, პროფ. ს. დანელია, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე, დ. დემეტრაძე, ბ. ჟღენტი, ს. ეული, გ. ქუჩიშვილი და სხვ.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. **აკ. თათარაშვილმა.**

— პუშკინის გარდაცვალების ასი წლისთავის იუბილე — ამბობს ამხ. თათარაშვილი, — რომელმაც ესოდენ ფართო ხასიათი მიიღო მთელ დიდ საბჭოთა კავშირში, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ კულტურის მიღწევათა ნამდვილი დაფასება იცის მხოლოდ განთავისუფლებული მუშათა კლასის ქვეყანამ, რომელსაც ბელმძღვანელობს, რომელიც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს ხალხთა გენიალურ ბელადს, კომუნიზმის უბადლო ხუროთმძღვარს — დიდ სტალინს.

ორატორის უკანასკნელ სიტყვებს ჰფარავს მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან, დარბაზში ჭქუხს და გრიალებს ოვაცია იმის მიმართ, ვინც ბედნიერი ცხოვრება მოუტანა საბჭოთა კავშირის ხალხებს, ვისი პოეზიული ხელმძღვანელობის შედეგად საბჭოთა კავშირის მშრომელები დაეუფლნენ ცოდნას, კულტურას და ღღეს ასეთი პატივისცემით იხსენიებენ რუსეთის ახალი ლიტერატურის ფუძემდებელს, გენიალურ პოეტს პუშკინს.

როცა, ბოლოს, ოვაცია დაცხრა, პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი, შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. **ფ. მახარაძემ,** რომლის გამოჩენას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი ოვაციით შეხვდა.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ალეკა დადიანი და პროფ. ს. დანელია.

ამხ. აკ. თათარაშვილმა გაშოაქვეყნა საქ. ცაკის დადგენილება.

დასასრულ, გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა და თ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს სჯალინური კონსტიტუცია

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე 1937 წ. 10 თებერვალს

ამიერ-კავკასიის სსრ ფედერაციის შესახებ

მხოლოდ ამას შემდეგ შეიქნა საქართველო მუშებისა და გლეხების ნამდვილი დამოუკიდებელი სახელმწიფო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით, რომელიც სოციალისტური მშენებლობის უფრო წარმატებით და უფრო სწრაფი ტემპით განვითარების მიზნით შეუკავშირდა ჯერ აზერბაიჯანის და სომხეთის ძმურ საბჭოთა რესპუბლიკებს და შემდეგ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციის მეშვეობით—საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს. აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების გაერთიანება ამიერ-კავკასიის ფედერაციაში იყო მაშინ ისტორიული აუცილებლობა.

როგორც ვიცით ამხ. ლ. ბერიამ თავის წერილში „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის ფედერაცია“ სავსებით ამომწურავი პასუხი მოგვცა იმ კითხვაზე, თუ რა პირობებში და რატომ შეიქმნა ა.-კავკასიის ფედერაცია და რატომ გახდა შესაძლებელი და საჭირო დღეს მისი გაუქმება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა 1921-1922 წლებში აუცილებელი და გარდაუვალი იყო. ეს იყო მაშინ საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნების და განმტკიცების საკითხი. ამიერ-კავკასიის ფედერაციის შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციათა ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური წინსვლის, აღმავლობის აუცილებელი პირობა იყო. ამიერკავკასიის ხალხებს ძმური თანამშრომლობის გარეშე, რომელსაც მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფედერაცია უზრუნველყოფდა, არ შეეძლოთ აღედგინათ და განვითარებიათ მეფის დროიდან მეძკვიდრეობით მიღებული ჩამორჩენილი მეურნეობა, რომელიც მთლიანად განადგურებულ იქნა მენშევიკების, მუსავატების და დაშნაკების ბატონობის დროს.

ა.-კავკასიის ფედერაციის გარეშე არ შეეძლოთ ა.-კავკასიის ხალხებს აღმოეფხვრათ მეფის და მენშევიკ-მუსავატ-დაშნაკების დროიდან დარჩენილი ნაციონალური შუღლი და უნდობლობის ნაშთები.

ეს გარემოება ვერ გაიგეს მაშინ ქართველ-ნაციონალ უკლონისტებმა. რომლებმაც ხელაღებით გაილაშქრეს ა.-კავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ნაციონალ - უკლონისტები მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების პოზიციამდე დაეშვენ. ქართველი ნაციონალ - უკლონისტები ამ ბრძოლაში განადგურებულ იქნენ და ა.-კავკასიის ბოლშევიკებმა ლენინის და სტალინის ბრძანებებს საფუძველზე შექმნეს ა.-კავკასიის ფედერაცია, რომელმაც სავსებით გაამართლა ის დავალებები, რომლებიც მას დაეკისრა.

ა.-კავკასიის ფედერაციამ უზრუნველყო ა.-კ. ხალხთა შორის ძმური თანამშრომლობა - მეგობრობა, ყოველგვარი შუღლის, უნდობლობის და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური ცრურწმენათა ნაშთების აღმოფხვრა.

ა.-კავკასიის ფედერაციამ უზრუნველყო ა.-კ. ხალხთა ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ზრდა. ა.-კავკასიის ხალხებმა უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში და დადგნენ საბჭოთა კავშირში მოწინავე ხალხთა გვერდით.

მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური მშენებლობის ამ უდიდეს გამარჯვებათა საფუძველზე გახდა მიზანშეწონილი და დროული ა.-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაცია. და ამიტომ საკავშირო სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც მიღებულ და დამტკიცებულ იქნა საბჭოების სრულიადსაკავშირო მერვე საგანგებო ყრილობაზე გასული 1936 წ. 5 დეკემბერს, საბჭოთა საქართველო, საბჭოთა აზერბეიჯანი და საბჭოთა სომხეთი უკვე უშუალოდ შედიან, როგორც მოკავშირე რესპუბლიკები, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირში.

ამ ფაქტს აქვს განუზომელად დიდი მნიშვნელობა. მას გამოუთქმელი აღტაცებით და სიხარულით ეგებებიან ა.-კავკასიის მშრომელები განურჩევლად ეროვნებისა, ასაკისა და სქესისა და იძლევიან სიტყვას, რომ მომავალში ისინი კიდევ უფრო განავითარებენ თავის შემოქმედებით მუშაობას სოციალიზმის ფრონტზე, კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაადიდებენ შრომის ნაყოფიერებას და მთელ თავის დაუშრეტელ ენერგიას და მტკიცე ნებისყოფას მოანდომებენ ძმურ თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ხალხთა შორის, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანებენ ნამდვილ პროლეტარულ ინტერნაციონალურ კავშირს.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია

ამხანაგებო, თავისი შინაარსით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს გამარჯვებული და თავისუფალი ხალხის კონსტიტუციას, ისეთ კონსტიტუციას, რომელიც ასახავს და გამოხატავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას.

ხალხთა უდიდეს ბელადმა, ჩვენმა მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე თავისი შოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, ხაზი გაუსვა რა ამ პროექტის ძირითად თავისებურებებს, აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის პროექტი არის განვლილი გზის შედეგი, არის უკვე მიღწეულ მონაპოვართა შედეგი“, „იმის რეგისტრაცია და საკანონდებლო განმტკიცება, რაც საქმით უკვე მიღწეულ და მოპოვებულია“, რომ კონსტიტუციის - პროექტი ასახავს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტს.

სწორედ ამ უდიდეს მოვლენას, ამ გამარჯვებას ასახავს, პირველყოვლისა, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის პროექტიც.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის პროექტი ასახავს საქართველოს მშრომელთა მიერ განვლილ გზას, რომელიც საქართველოს მშრომელებმა, ბოლშევიკური პარტიის,— ლენინისა და სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიარეს.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის პროექტი ასახავს საქართველოს მშრომელთა ბრძოლას, კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ფაქტს.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი ასახავს იმ გზას, რომელიც საბჭოთა საქართველომ გაიარა ეროვნული შუღლიდან და უნდობლობიდან ძმურ თანამშრომლობისაკენ.

ამხანაგებო! თქვენ იცით, რომ საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა საბჭოების სრულიად-საქართველოს პირველ ყრილობაზე 1922 წლის დასაწყისში, ე. ი. სწორედ 15 წლის წინად ეს იყო მენშევიკების მიერ გაძარცული და გავერანებული ქვეყანა, გაღატაკებული, და იმავე დროს გაბრუებული და მოწამლული კაციჭამია ნაციონალიზმით და შოვინიზმით. მეორეს მხრივ, ეს იყო უმთავრესად წვრილ-ბურჟუაზიული და ხელოსნური წარმოების ქვეყანა.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მიიღო მემკვიდრეობით სრულიად ჩამორჩენილი, სრულიად დანგრეული სახალხო მეურნეობა დაქსაქსული მუშათა კლასით.

მრეწველობა საქართველოში სრულებით განუვითარებელი იყო. 1913 წ., მაგ., მთელ საქართველოში მხოლოდ ნახევრად კუსტარული ხასიათის 206 საცენზო საწარმოო იყო, სადაც მუშაობდა სულ 7.940 მუშა, თვითეულ საწარმოში—საშუალოდ 38 მუშა. ეს მრეწველობა იძლეოდა 28 მილიონ მანეთის პროდუქციას. მენშევიკების ბატონობის დროს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა: 1920 წელს საწარმოთა 40 პროც. ან სრულიად შეჩერებული იყო, ან მხოლოდ ნაწილობრივ მუშაობდა. საცენზო მრეწველობის მთელი პროდუქცია 20 მილიონ მანეთამდე დავიდა; მარგანეცის ამოღება 16-ჯერ შემცირდა, ელექტრო-ენერგიის სიმძლავრე, რომელიც რევოლუციამდე 8 ათას ცხენის ძალას უდრიდა, 5 ათასამდე დავიდა და სხვ.

კიდევ უფრო ჩამორჩენილი და განუვითარებელი იყო სოფლის მეურნეობა. ეს უკანასკნელი, რომელსაც თავის განვითარებისათვის კოლოსალური ბუნებრივი პირობები მოეპოვებოდა, სრულ დეგრადაციას განიცდიდა. სოფლის მეურნეობამ, რომელსაც ყველა საჭირო პირობები ქონდა ტექნიკური და აგრეთვე განსაკუთრებით სუბტროპიკული და ციტრუსოვანი კულტურების განვითარებისათვის, იცოდა მხოლოდ ნაკლებ რენტაბელური,—მარცვლეულობის კულტურა, მათ შორის სიმინდი. ამ კულტურათა მოსავალიც თანდათანობით კატასტროფიულად ეცემოდა. დეგრადაციას განიცდიდა აგრეთვე მევანეობაც, რომელიც სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგი იყო.

ზედმეტია ლაპარაკი სოფლის მეურნეობაში ტექნიკის განვითარებაზე. ეს ტექნიკა მამაპაპეულ გუთანზე, უმეტეს შემთხვევაში კი—კავზე შორს არ ძიდიოდა.

ასეთი მდგომარეობა ძიიღო მემკვიდრეობით საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა მდგომარეობდა პირველყოვლისა იმაში, რომ აღგვედგინა იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის დროს დანგრეული სახალხო მეურნეობა. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოღებული იქნა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ნეპის პირველი პერიოდი, „როცა საბჭოთა ხელისუფლებამ —როგორც ამბობს ამხანაგი **სტალინი** — დაუშვა კაპიტალიზმის ერთვგვარი გამოცოცხლება სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად, როცა ის ითვალისწინებდა, რომ მეურნეობის ორი სისტემის, კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის, შეჯიბრების მსვლელობაში შეექმნა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის მიმართ. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ამ შეჯიბრების მსვლელობაში გაგვემტკიცებინა სოციალიზის პოზიციები, მიგვეღწია კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის და დაგვემთავრებია სოციალისტური სისტემის, სახალხო მეურნეობის ძირითად სისტემის, გამარჯვება. (ი. **სტალინი:** „ს.ს.რ. კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, მოხსენება **საბჭოების სრულიად საკავშირო** ყრილობა საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წ. 25 ნოემბერს).

საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1922 წ. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოთა პირველ ყრილობაზე, ასახავდა სწორედ ნეპის ამ პირველ პერიოდს, საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ბრძოლის პირველ ეტაპს.

საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია ასახავდა საქართველოში მუშათა კლასის დიქტატურის დამკვიდრების ფაქტს, ამასთანავე ასახავდა მუშათა კლასის დიქტატურის მიზანს: „ბურჟუაზიული წესწყობილებიდან სოციალიზმში გადასვლის განხორციელებას, სოციალისტური რეფორმის შეურყეველად ცხოვრებაში გატარების გზით“ (მუხლი 2)

საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია ასახავდა საბრძანებლო მაღლობების მუშათა კლასის ხელში გადასვლას — მიწაზე, მიწის წიაღზე, ტყეზე, წყლებზე და აგრეთვე მსხვილ წარმოებასა და საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობას და იმათ გადასვლას სახელმწიფო საკუთრებად (მუხლი 3).

საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია, ამასთან ერთად, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭიროა შინაური ბაზრის შექმნა და მისი სახელმწიფოებრივად მოწესრიგება, საქონლის ტრიალის განვითარება საბჭოთა კანონების მტკიცე საფუძველზე,— საკრედიტო დაწესებულებათა სავაჭრო ამხანაგობათა, საექსპორტო საზოგადოებათა და სხვა და სხვა სახის კოოპერატიულ კავშირთა დაარსების გზით და ამასთანავე შეესაძლებლად მიაჩნდა მრეწველობის დარგში უცხო კაპიტალის შემოსავლისათვის ხელისშეწყობა სასტიკად განსაზღვრულ ფარგლებში (მუხლი 15).

საბჭოთა საქართველოს მეორე კონსტიტუცია

პირველი კონსტიტუციის მიღებიდან 1926 წლამდე, მეორე კონსტიტუციის მიღებამდე, საბჭოთა საქართველომ საგრძნობი ცვლილებები განიცადა ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური წინსვლის მხრივ. გარდა ამისა, პირველი კონსტიტუციის მიღების შემდეგ საბჭოთა საქართველო ჯერ ა/კავკასიის საბჭოთა ფედერაციის და ამავე დროს ა/კავკასიის მეშვეობით სსრ კავშირის წევრი გახდა. ერთსულოვანი, ძმური თანამშრომლობით ა/კავკასიის ოჯახში საქართველომ, აზერბეიჯანმა და სომხეთმა უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის აღდგენა და მისი წინწაწევა, უზრუნველჰყვეს უდიდესი გამარჯვებები სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების საქმეში.

მაგრამ 1926 წ. ჯერ კიდევ ნეპის პირველ პერიოდში ვიმყოფებოდით: მრეწველობაში კაპიტალისტურ სექტორს ჯერ კიდევ 14,1 პროცენტი ეჭირა, საქონელთბრუნვაში კი—54 %. სოფლის მეურნეობაში კულაკი, როგორც კლასი ჯერ კიდევ საგრძნობ ძალას შეადგენდა, ლაპარაკი იყო მხოლოდ მის შეზღუდვაზე. რჩებოდა წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არსებობდნენ, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო იყო იმათი როლი. (1922 წელს საბჭოთა საქართველოში იყო 2 კოლმეურნეობა, ხოლო 1926 წელს —58, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 880 მეურნეობა). ჩაის და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების საქმეში ჯერ არავითარ საგრძნობ ცვლილებებს ვერ ვამჩნევთ. ციტრუსოვან კულტურების განვითარებაზე ჯერ ხსენებაც კი არაა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაშიაც კი ჯერ კიდევ არ ემჩნევა ცვლილება. 1927 წელს მთელ საქართველოში მუშაობდა მხოლოდ 278 ტრაქტორი.

საბჭოთა საქართველოს მეორე კონსტიტუცია, მიღებული 1926 წ. სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მიერ და დამტკიცებული 1927 წ. სრულიად საქართველოს IV ყრილობაზე, ასახავს სწორედ **იმ** ცვლილებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში 1922 წ-დან 1926 წ-მდე.

მიღწევანი უკანასკნელი ათი წლის მანძილზე

მეორე კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლო სრულმა 10 წელმა. ამ ხნის განმავლობაში მოხდა უდიდესი გარდატეხა მთელ საბჭოთა კავშირში და მასთან ერთად საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაშიაც.

მთელს ჩვენს კავშირში დღეს მრეწველობა წარმოადგენს გიგანტურ ძალას, რომელიც ემყარება ახალ, მდიდარ თანამედროვე ტექნიკას, უაღრესად განვითარებულ ძმიმე ინდუსტრიას და მანქანათმშენებლობას: „კაპიტალიზმი—როგორც ამბობს ამხანაგი სტალინი — სრულიად განდევნილია ჩვენი მრეწველობის სფეროდან, ხოლო წარმოების სოციალისტური ფორმა წარმოადგენს დღეს განუყოფლად გაბატონებულ სისტემას ჩვენი მრეწველობის დარგში“ (იხ. სტალინი ს.ს.რ. კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ).

ჩვენ შეგვიძლია ითქვათ, რომ ასეთივე მდგომარეობა გვაქვს საბჭოთა საქართველოშიაც. ამ ხნის განმავლობაში მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 1.131.7 მილ. მანეთი. აღმოცენდენ წარმოების ისეთი დარგები, რომელსაც საქართველო საბჭოთა ხელისუფლებამდე სრულებით არ იცნობდა. ახლადაა შექმნილი: მანქანათმშენებელი მრეწველობა, რომელიც ამზადებს მანქანებს და დაზგებს საფეიქრო, ჩაის და სხვა ფაბრიკა-ქარხნებისათვის; ფერომეტალური, ფოლადის და თუჯის ჩამოსასხმელი, სპილენძის მგლინავი ქარხნები, ცემენტის ქარხანა, ქიმიური და ქაღალდის მრეწველობა; საფეიქრო მრეწველობა: მაუდის, აბრეშუმის საქსოვი, ტრიკოტაჟის, აბრეშუმის სახვევი და სხვა ფაბრიკები; მსხვილი სამკერვალო და ფეხსაცმელების მრეწველობა. კვების მრეწველობა — კონსერვის, შაქრის, ჩაის ფაბრიკები და ქარხნები, ნავთის მრეწველობა და სხვ.

დღეს საბჭოთა საქართველოში წარმოების სოციალისტური ფორმა განუყოფლად გაბატონებულია მრეწველობის დარგში. საბჭოთა საქართველოში მსხვილი სოციალისტური მრეწველობის პროდუქცია თუ 1923-24 წ. წ. შეადგენდა 27 მილ. მანეთს, 1935 წ. იგი უდრის 640,5 მილ. მანეთს,—ხოლო 1936 წელს პროდუქციამ მიაღწია უკვე 760 მილ. მანეთს. შრომის ნაყოფიერება 1923 წლიდან 1935 წლამდე გაიზარდა 6-ჯერ. განსაკუთრებით დიდია შრომის ნაყოფიერება 1936 — სტახანოვურ წელს.

სოციალისტური მრეწველობის განვითარება წარმოებს ელექტრომშენებლობის ფართოთ გაშლის ბაზაზე. თუ მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოს ელექტრო სადგურების სიმძლავრე უდრიდა 5.000 ცხ. ძალას, 1935 წელს იგი 104 ათას ცხ. ძალას უდრიდა, ხოლო 1936 წ. 162 ათას ცხ. ძალას. თუ ავიღებთ კერძოდ, მარ ანეკის მრეწველობას, დავინახავთ, რომ, თუ მენშევიკების დროს იღებდენ 120.000 ტონას, 1936 წ. ამოღებულ იქნა 1.520 ათ. ტონა.

„საბჭოთა კავშირში ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მაშინიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა“ (ი. სტალინი: ს.ს.რ. კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ) კულაკობა სრულიად ლიკვიდირებულია; ერთპიროვნულ მეურნეობათა სექტორს სრულიად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს საბჭოთა საქართველოშიაც. ასე, მაგ. 1936 წ. ბოლოს საქართველოში იყო 4.417 კოლმეურნეობა, რომლებიც აერთიანებდენ 368.710 მეურნეობას, რაც საერთო მეურნეობებთან შედარებით შეადგენს 75,3 %-ტს.

კოლმეურნეობები აბარებენ სახელმწიფოს მარცვლეულს სახელმწიფოსათვის ჩაბარების საერთო გეგმის 95.8 %-ს, შაქრის ჭარხალს —92 %-ს, ბამბას 82 %-ს, თამბაქოს 82 %-ს, ჩაის 70 %-ს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან ერთად კი 100 %-ს. კოლმეურნეობები განმტკიცდენ, ბევრი მათგანი უკვე მილიონერი არის (იხ. ლ. ბერია: ლენინსძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის, 1936 წ.) განმტკიცდენ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებიც.

სოფლის სოციალისტური მეურნეობა შეიარაღებულია ახალი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღებით: ტრაქტორებით, კომბაინებით და სხვ. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მინდვრებზე მუშაობენ 2.400 ტრაქტორი, რომელთა ძალოვნება აბულებს 40.000 ცხ. ძალამდე; გარდა ამისა საქართველოში მუშაობს აგრეთვე 200 შეტი კომბაინი. გიგანტურ ნაბიჯით გაიზარდა ჩაის მეურნეობა, რომლის განვითარება და ზრდა თითქმის 100 %-თ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობის ხაზით ხდება. ჩაის ფართობი ჩქარა მიაღწევს 40.000 ჰექტარს. ჩაის ფართობს ემატება ციტრუსების ფართობი, რომელიც 1940 წლისათვის უნდა აციდეს 20.000 ჰექტარამდე. ამავე დროს ვენახების ფართობი 33.000 ჰექტარიდან უნდა გადიდდეს 60.000 ჰექტარამდე 1940 წელს. ჩაის პლანტაციებს მომსახურეობას უწევენ 30-დე ჩაის ფაბრიკა, რომელთა რიცხვი ყოველ წლიე იზრდება.

ამნაირად, საქართველო წმინდა აგრარულ ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნათ.

სოციალიზმი სავსებით გაბატონებულია საქონელთბრუნვაში, რომლიდანაც სავსებით განდევნილია კერძო ანუ კაპიტალისტური სექტორი. მთელი საქონელთბრუნვა სახელმწიფოს, კოოპერაციის და კოლმეურნეობების ხელშია.

სოციალიზმის გამარჯვებებს სამეურნეო დარგში თან სდევს კოლოსალური წარმატებები კულტურულ განვითარებაში. აყვავებულია კულტურა, შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნაციონალური. უდიდესი მიღწევები გვაქვს სახალხო განათლების დარგში. თუ მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ წელს საქართველოში არსებობდა 1.655 დაწყებითი სკოლა 157.800 მოწაფით, 1935/36 სასწავლო წლის დასაწყისში არსებობდა უკვე 4.254 დაწყებითი სკოლა 698.100 მოწაფით, საყოველთაო-სავალდებულო განათლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში გახორციელებულია ქალაქში, სამრეწველო ადგილებში, საბჭოთა მეურნეობებში და მსხვილ კოლმეურნეობებში და გახორციელებული იქნება ყველგან 1937-38 სასწავლო წელს. გარდა ამისა არსებობს კიდევ 190 სხვადასხვა სახის ტექნიკუმი, სადაც სწავლობს 36.000 მოწაფე.

საბჭოთა საქართველოს სტალინური კონსტიტუცია

აი, ამ უდიდეს მიღწევებზე და წარმატებებზე ეყრდნობოდა და აგებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი სტალინური კონსტიტუცია, ეს კონსტიტუცია აჯამებს სოციალიზმის გამარჯვების **ფაქტს ჩვენს რესპუბლიკაში.**

ამხანაგებო: მე ვფიქრობ, რომ სსრ-ის კონსტიტუციის პროექტის მუხლობრივი განხილვა აქ საჭირო არაა. მე შევჩერდები მოკლედ უფრო მნიშვნელოვან და უფრო საყურადღებო მუხლებზე.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის პირველი თავი, რომელიც საერთოა საკავშირო კონსტიტუციის ამავე თავთან, ლაპარაკობს სოციალიზმის უდიდეს ისტორიულ გამარჯვებებზე.

მე-4 მუხლში ნათქვამია: „საქართველოს სსრ-ის ეკონომიკის საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, დამკვიდრებული შედეგად მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციისა, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმებისა და ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისა“.

შემდეგ მე-5 მუხლში აღნიშნულია: „სოციალისტურ საკუთრებას საქართველოს სსრ-ში აქვს ან სახელმწიფო საკუთრების ფორმა (საყოველთაო-სახალხო კუთვნილება), ან კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმა (ცალკეულ კოლმეურნეობათა საკუთრება, კოოპერატიულ გაერთიანებათა საკუთრება).“

კონსტიტუციის პროექტის მე-8 მუხლი, ამბობს: „მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უჭირავთ, ემაგრებათ მათ უსასყიდლოდ და უვადო სარგებლობაში, ე. ი. სამუდამოდ.“ ეს ნიშნავს ყველა მიწის მშრომელთა ხელში გადასვლას. ეს უკვე ფაქტია. ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ არა მარტო კონფისკაცია უყო მემამულეების, ეკლესია-მონასტრების და საუფლისწულო ყველა მიწას, არამედ მან გააუქმა კერძო საკუთრება მიწაზე, რომელიც ბაშინვე გადაეცა მშრომელებს სრულიად უსასყიდლოდ.

სსრ კონსტიტუციის პროექტის მე-13 მუხლი ამბობს, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა თანასწორუფლებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უერთიანდება ნებაყოფლობით რუსეთის ს.ფ.ს.რ-ს, უკრაინის სსრ-ს, ბელორუსიის სსრ-ს, აზერბაიჯანის სსრ-ს, სომხეთის სსრ-ს, თურქმენეთის სსრ-ს, უზბეკეთის სსრ-ს, ტაჯიკეთის სსრ-ს, ყაზახეთის სსრ-ს და ყირგიზეთის სსრ-ს „ეკონომიური და პოლიტიკური ხაზით, ისე როგორც თავდაცვის ხაზით ურთიერთ დახმარების მიზნით“.

ამავე მუხლში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ ფარგლებს გარეშე, რომელიც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით საბჭოთა კავშირს აქვს მიკუთვნებული, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა „ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულიად თავის სუვერენულ უფლებებს“.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტი უზრუნველყოფილია აგრეთვე კონსტიტუციის მე-15 და მე-16 მუხლებით. მე-15 მუხლში კონსტიტუციური წესით გაფორმებულია კომუნისტური პარტიის პროგრამის მე-9 მუხლი, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი: ერების უფლება თვითგამორკვევაზე, სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. მე-15 მუხლში სწერია: „საქართველოს სსრ ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლებას“. მე-16 მუხლი აღნიშნავს: „საქართველოს სსრ-ის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე“.

ასეთია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენული უფლებები.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე-14 მუხლს. ამ მუხლში დასახელებულია მართვა-გამგებლობის ის დარგნი, რომელთაც იგი თავისი ხელისუფლებას უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მეშვეობით განაგებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მმართველობა ასპარეზი მეტად ფართეა; ამ ნიადაგზე უფართოესი შესაძლებლობა ეძლევა რესპუბლიკის ყველა ორგანოს, როგორც ცენტრალურს, ისე ადგილობრივს, მაქსიმალურად გაშალონ თვითმოქმედება, ინიციატივა, შემოქმედებითი უნარი, აამოძრაონ ის კოლოსალური რეზერვი, რაც კი მათ განკარგულებაში არის.

ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც არსებობენ ფედერაციები, საკავშირო სახელმწიფოები, მაგრამ ამ ფედერაციებში შემავალი „სახელმწიფოების“ უფლებრივი მდგომარეობის შედარებაც არ შეიძლება ჩვენს კავშირში შემავალი რესპუბლიკების უფლებრივ მდგომარეობასთან. ბურჟუაზიული ფედერაციის მხოლოდ ცარიელი სიტყვაა დარჩენილი. არსებითად კი იქ არავითარი ფედერაცია, არავითარი საკავშირო სახელმწიფო არ არსებობს. ბურჟუაზიულ ქვეყნების ფედერაციაში შემავალი ე. წ. „სახელმწიფოების“ (შტატები და სხვ.) მთელი ძალაუფლება, ინიციატივა ცენტრალური ხელისუფლების ხელშია. ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოები დაყვანილია უბრალო პროვინციის, ადმინისტრატიული ერთეულის მდგომარეობამდე.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოებია: უზენაესი საბჭო, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო. უზენაესი საბჭო და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელნიც იქმნებიან ძველი კონსტიტუციით არსებული საბჭოთა ყრილობისა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ნაცვლად, წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს; სახალხო კომისართა საბჭო კი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. თუ ძველი კონსტიტუციით კანონმდებლობას ეწეოდნენ სახელმწიფო ხელისუფლების მთელი რიგი ორგანოები, როგორიც იყვნენ: საბჭოთა ყრილობა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო, ახლა საბჭოთა კავშირის ახალი **კონსტიტუციით** და საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტით, კანონმდებელი მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი საბჭოა.

როგორც ვიცით, საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია აღნიშნავდა, რომ საბჭოთა საქართველოში „შეუწყნარებელია ეროვნულ უმცირესობათა შევიწროება, ანუ მათი სწორუფლებიანობის შეზღუდვა დანარჩენ მოქალაქეებთან“ (მუხ. 7), რომ „ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და სამშობლო ენის სმარების უფლება, როგორც საბჭოთა ეროვნულ კულტურულ, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“ (მუხლი 6-ის შენიშვნა).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტიც ემყარება ამავე პრინციპებს საქართველოში მოსახლე ხალხების მიმართ: აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთ-ოსეთი თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში: აფხაზეთი და აჭარა — როგორც ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, ხოლო სამხრეთ-ოსეთი, როგორც ავტონომიური ოლქი.

როგორც ავტონომიურ რესპუბლიკებს, ისე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს აქვს გარკვეული ავტონომიური უფლებები, უზრუნველყოფილი აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ქმნის პირობებს მათი ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური წინსვლისათვის.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს აქვთ თავიანთი კონსტიტუცია, რომელიც აგებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის და სსრ კავშირის კონსტიტუციის სრულ შესაბამისად. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს აქვს ავტონომიური ოლქის დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო. ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში და ავტონომიური ოლქის დებულებაში

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების დასასრული

რად 1.200 ათას ტონა ნახშირს აძლევა, მსხვილი სატყეო ძრეწველობა, ადგილობრივი მრეწველობის მთელი რიგი წამოწყებები, რომელთა საერთო პროდუქციამ 1935 წ. 9.300 ათას მან-დე მიაღწია, გარდა ამისა ტყვარჩელის ჰიდრო-ელექტრო სადგური და სხვ.;

აჭარაში: ისეთი მსხვილი საწარმონი, როგორიც არიან — ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები, მანგანუმშენებლობის ქარხანა; თუნუქის ქარხანა, ბუნებრივი საღებავების ქარხანა, სამკერვალო და ფეხსაცმელების ფაბრიკები, ჩაის რამდენიმე მსხვილი ფაბრიკა და სხვა.;

სამხრეთ-ოსეთში, სადაც რევოლუციამდე მრეწველობის რაიმე ნიშანიც კი არ იყო — რამდენიმე მნიშვნელოვანი სახერხი ქარხანა, აგურის ქარხნები, ტალკის ქარხანა, მარმარილოს დამუშავება და სხვ.

ადგილობრივი ინტელიგენცია, ადგილობრივი ინჟენერები, ტექნიკები, ადგილობრივი კვალიფიციური მუშები, ადგილობრივი ექიმები, უმაღლესი სკოლები და ინსტიტუტები, თეატრები, პოლიტგანმანათლებელი დაწესებულებათა მთელი ქსელი, — აი რა მოიპოვეს აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

როგორც საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში, ისე კერძოდ საბჭოთა საქართველოშიაც ერების წარმატებით თანამშრომლობა აიხსნება იმით, რომ ხელისუფლების სათავეში სდგას მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, — კლასი, რომელმაც სხვა მშრომელთა მასებთან ერთად დაამსხვრია ძველი საზოგადოება და შექმნა ახალი, ბედნიერი ცხოვრება.

„ექსპლოატატორთა კლასების მოსპობამ, — ამბობდა ამხანაგი **სტალინი** საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე, — რომლებიც ხალხთა შორის ჩხუბის ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ; იმ გარემოებამ, რომ ძალაუფლების სათავეში სდგას მუშათა კლასი, რომელიც - მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთ-დახმარების აქტიურმა გახორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ, — ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქტორებმაც მიგვიყვანა იქამდის, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაჩრა მათში ურთიერთ უნდობლობის გრძნობა, განვითარდა მათში ურთიერთ მეგობრობის გრძნობა და, ამგვარად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში“ (ი. სტალინი: „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“).

შევჩერდეთ მოკლედ საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზედაც.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებიც საბჭოთა სახელმწიფოში, რა თქმა უნდა, ძირითადად განსხვავდება ბურჟუაზიის ასეთივე ორგანოებისგან.

ბიუროკრატიული ცენტრალისტური სახელმწიფო აპარატის გაძლიერების აუცილებლობა იმპერიალიზმის ხანაში აიძულებს ბურჟუაზიას უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აწარმოოს სისტემატური ბრძოლა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინააღმდეგ. ბევრ ქვეყანაში (მაგ. საფრანგეთში) უკვე დიდი ხანია, რაც ადგილობრივი თვითმმართველობები განადგურებული არიან. ისეთ ქვეყანაშიც, როგორიც არის ინგლისი, რომელიც ითვლებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის სანიმუშო ქვეყნად, დაიწყო უკანასკნელ ხანებში თვითმმართველობათა ორგანოების უფლებების აშკარა შეკვეცა, მათი სამეურნეო და ფინანსიურ შესაძლებლობათა შეზღუდვა.

ზედმეტია ლაპარაკი ფაშისტურ იტალიაზე და გერმანიაზე, სადაც სავსებით მოელო ბოლო ადგილობრივ თვითმმართველობის ყოველგვარ ნაშთებს.

სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა გვაქვს საბჭოთა სახელმწიფოში.

საბჭოების სისტემაში ადგილი არა აქვს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი ხელისუფლების დაპირისპირებას. ადგილობრივი ხელისუფლება იგივე სახელმწიფო ხელისუფლებაცაა. ადგილობრივი (რაიონის, ქალაქის, დაბის, სოფლის) ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი საბჭოები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არიან ადგილებზე. რაიონის, ქალაქის, დაბის, სოფლის საბჭოები სახელმწიფო ხელისუფლის ადგილობრივი ორგანოები არიან.

ადგილობრივი საბჭოები თავიანთ ტერიტორიის ფარგლებში წარმოადგენენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, აერთიანებენ მშრომელებს ადგილობრივ და სახელმწიფო მმართველობაში, სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

მშრომელთა ადგილობრივი (რაიონის, ქალაქის, დაბის, სოფლის) საბჭოები ხელმძღვანელობენ კულტურულ-პოლიტიკურ და სამეურნეო მშენებლობას თავიანთ ტერიტორიაზე, აწესებენ ადგილობრივ ბიუჯეტს, ხელმძღვანელობენ მშრომელების მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების მოქმედებას, უზრუნველყოფენ სახელმწიფო წესრიგის დაცვას, ხელს უწყობენ ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერებას, უზრუნველყოფენ კანონების შესრულებას და მოქალაქეების უფლებათა დაცვას (მუხლი 89).

სოფლის საბჭო არა მარტო სწყვეტს სასოფლო მნიშვნელობის ყველა საკითხს, იგი ხელმძღვანელობას უწევს მის ტერიტორიაზე მყოფ ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, თვალყურს ადევნებს მის ტერიტორიაზე მყოფ, მისდამი, არადაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოქმედებას.

შემდეგ ადგილობრივი საბჭოები, რომელნიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არიან, წარმოადგენენ მშრომელთა ადგილობრივი თვითმმართველობის უაღრესად ფართოდ გახორციელებას.

რაიონის, ქალაქის, დაბის, სოფლის საბჭოებს, ჩვენი კონსტიტუციის პროექტით, უზრუნველყოფილი აქვთ თვითმოქმედების, ინიციატივის, შემოქმედებითი უნარის გაშლის სრული შესაძლებლობა.

რაიონის, ქალაქის, დაბის, სოფლის საბჭოებს აქვთ თავიანთი მტკიცე ბიუჯეტები, რომლებშიაც ჩაირიცხება ადგილობრივი მეურნეობის შემოსავალი, მათ ტერიტორიაზე სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები და აგრეთვე ადგილობრივ გადასახადთა შემოსავალი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობათა დაწესებული რაოდენობით (მუხლი 116). ადგილობრივი ბიუჯეტი შეადგენს საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილს. მტკიცდება საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოს მიერ და მისი შეცვლა, ე. ი. ბიუჯეტის რომელიმე ნაწილის აძოლება თუ შემცირება შესაძლებელია მხოლოდ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ადგილობრივი საბჭოები სექციების, დეპუტატთა ჯგუფების და სხვ. ორგანიზაციების მეშვეობით სახელმწიფო მმართველობაში აბამენ მშრომელთა ფართო მასებს და ახორციელებენ მშრომელთა ნამდვილ თვითმმართველობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივ საბჭოების დადგენილებათა გაუქმების უფლება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების ზემდგომ საბჭოებს (მუხლი 100); საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლია ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა, მხოლოდ შეჩერება (მუხლი 49). საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს გაუქმოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი კანონს არ შეესაბამებიან.

საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის მე-96 მუხლი ამბობს: „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები თავიანთი სესიის დროს ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს სესიის სხდომათა გასაძღოლად“.

დღემდე არსებული კონსტიტუციით, რაიონის და ქალაქის საბჭოების სესიებს (სხდომებს) ხელმძღვანელობდნენ ამ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები. მშრომელთა დემოკრატიის შემდგომი გაფართოების ერთ-ერთ ნაბიჯს წარმოადგენს ის, რომ რაიონის თუ ქალაქის საბჭოს სხდომას უძღვება არა ის, ვინც ანგარიშვალდებულია ამ საბჭოს წინაშე, არამედ სხვა, სპეციალურად ამისათვის არჩეული პირი.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში გვაქვს დემოკრატიის სრული გაფართოება, მშრომელთა თვითმმართველობის, მშრომელთა თვოსნობის, თვითმოქმედების, შემოქმედებითი უნარის მაქსიმალური გაშლა, იმ დროს, როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სრულიად წინააღმდეგ მოვლენას აქვს ადგილი.

სტალინური კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მასში თანმიმდევრობით და ბოლომდეა დაცული სოციალისტური დემოკრატიზმი, უმაღლეს წერტილამდეა აყვანილი საბჭოთა, მშრომელთა დემოკრატია. ასეთი თანმიმდევრობითი და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი უზრუნველყოფილია საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტით.

კაპიტალისტური ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში პირდაპირუარყოფილია და ფაქტიურად არარადაა ქცეული მოქალაქეთა უფლებების თანასწორობა და დემოკრატიული თავისუფლება. ბურჟუაზიულ ქვეყნებში შენარჩუნებულია მხოლოდ ფორმალური დემოკრატია, ისიც ყოველმხრივ შეზღუდული, დამახინჯებული: თავისუფლების და თანასწორობის პრინციპი არ ვრცელდება კოლონიების მკვიდრ მოსახლეობაზე და საერთოდ ე. წ. „ფერად“ მოსახლეობაზე, თანასწორობის პრინციპი უმეტეს შემთხვევაში სრულებით არ ეხება ქალებს; ხოლო საყოველთაო საარჩევნო უფლება შეზღუდულია ბინადრობის ცენზით, განათლების ცენზით, ზარად კი ერებრივ ცენზითაც, აგრეთვე აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ერთი მეორისაგან დაშორებით და სხვა და სხვა. მეორეს მხრივ, ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში დემოკრატიული უფლებები თავისუფლებანი მხოლოდ ფორმალურადაა. თავისუფლება კრებებზე, თანასწორობა და სხვა უფლებები არაფერს ნიშნავენ მშრომელთათვის, როცა ეს უკანასკნელი მოკლებულნი არიან ამ უფლებათა განორციელებისათვის აუცილებელ საშუალებებს.

სწორედ ამიტომ **მარქსი და ენგელსი** დემოკრატიას კაპიტალისტურ ქვეყნებში ახასიათებდნენ, როგორც დემოკრატიას კლასობრივს. ბურჟუაზიულს. სწორედ ამიტომ **ლენინი და სტალინი** ყოველთვის უსვამდენ ხაზს იმ გარემოებას, რომ დემოკრატია კაპიტალისტურ ქვეყნებში არის დემოკრატია ძლიერებისათვის, მდიდრებისათვის.

მხოლოდ სოციალისტურმა რევოლუციამ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა საშუალება მშრომელებს მოეპოვებიათ ნამდვილი დემოკრატია: „პირველად მსოფლიოში საბჭოთა ანუ პროლეტარულმა დემოკრატიამ შექმნა დემოკრატია მასებისათვის, მშრომელთათვის, მუშებისათვის და წვრილი გლეხებისათვის“ (ლენინი).

ახალს, სტალინურ კონსტიტუციას უმაღლეს წერტილამდი აყავს საბჭოთა დემოკრატია, უზრუნველყოფს მშრომელთა სრულ დემოკრატიას. საბჭოთა კავშირის სტალინურმა კონსტიტუციამ არ იცის მშრომელთა დემოკრატიის არაგითარი შეზღუდვა: არც ქონებრივი მდგომარეობით, არც ნაციონალური წარმოშობით, არც სქესით, არც სასახურებრივი მდგომარეობით.

იგი — როგორც ამას ახასიათებს ამხანაგი სტალინი — „არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსიორებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხებზე, ამ უფლებათა გახორციელების საკითხებზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეებს უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდევაც უზრუნველყოფს ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა გახთავისუფლებია ფაქტის საკანონმდებლო გამტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდეც უზრუნველყოფს ამ საბჭოთა საზოგადოებაში კრიზისების არ არსებობის ფაქტის, უმუშევრობის მოსპობის ფაქტის განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებას, არამედ კიდეც უზრუნველყოფს მათ კანონმდებლობითი წესით გარკვეული მატერიალური საშუალებებით. ამიტომ გასაგებია, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის დემოკრატიზმი წარმოადგენს არა „ჩვეულებრივსა“ და „საყოველთაოდ აღიარებულ“ დემოკრატიზმს, არამედ **სოციალისტურ** დემოკრატიზმს“. (ი. **სტალინი: სსრ კავშირის** კონსტიტუციის პროექტის შესახებ).

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის 131, 132, 133 და 134 მუხლებით საქართველოს მშრომელებს უზრუნველყოფილი აქვთ უფლება: ა) გარანტირებული სამუშაოს მიღებაზე შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობის და ხარისხის შესაბამისად; ბ) დასვენებაზე; გ) მატერიალურ უზრუნველყოფაზე ძოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობის და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, და დ) განათლებაზე. ყოველივე ეს მოპოვებულია სოციალიზმის გამარჯვების ნიადაგზე და, რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის შედეგად და უზრუნველყოფილი იქნა კომუნისტური პარტიის, ლენინის და სტალინის პარტიის, პოლიტიკის მტკიცედ და განუხრელად შესრულებით, რაც უზრუნველყო ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ჩვენი კონსტიტუციის მე-135 მუხლის ძალით ქალთა სრული სწორუფლებიანობა მამაკაცებთან სავსებით უზრუნველყოფილია.

მეტად საყურადღებო დებულებას შეიცავს ამავე პროექტის მე-136 მუხლი, სადაც ნათქვამია: „საქართველოს სსრ-ის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნების და რასისა, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში ურყევი კანონი არის. მოქალაქეთა უფლების რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან, პირიქით, პირდაპირი, ან არაპირდაპირი უპირატესობის დაწესება, მათი რასიული და ნაციონალური კუთვნილების მიხედვით, აგრეთვე რასიული ან ნაციონალური განკერძოებულების ან სიძულვილისა და დამცირების ყოველგვარი ქადაგება — „ისჯება კანონით“.

შემდეგ, მე-138 მუხლში სწერია: „მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების გამტკიცების მიზნით საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებისათვის კანონით უზრუნველყოფილია:

ა) სიტყვის თავისუფლება;

ბ) ბეჭდვის თავისუფლება;

გ) კრების და მიტინგების თავისუფლება;

დ) ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება.

მოქალაქეთა ეს უფლებანი უზრუნველყოფილია მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის სტამბების, ქაღალდის მარაგის, საზოგადოებრივი შენობების, ქუჩების, კავშირგაბმულობის საშუალებათა და სხვა მატერიალურ პირობათა, რომლებიც აუცილებელია მათი განხორციელებისათვის, იმათ სარგებლობაში მიცემით.

„სსრ-კის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს გაერთიანებისა სხვადასხვა საზოგადოებრივ, პროფესიულ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში და მის უფრო აქტიურ და უფრო შეგნებულ ნაწილს მუშებიდან და მშრომელების სხვა ფენებიდან ნება აქვთ გაერთიანებისა სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკების), რომელიც არის მშრომელთა მოწინავე რაზმი მათს ბრძოლაში სოციალისტურ წესწყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და წარმოადგენს ხელმძღვანელ ბირთვს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივისა, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა“.

საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთ აქვთ როგორც უფლებები, ისე მათ აწევთ აგრეთვე სხვადასხვა მოვალეობა, რომლებიც გათვალისწინებულია ჩვენი კონსტიტუციის პროექტის მე-143, 144, 145 და 146 მუხლებით. ამ მოვალეობათა შორის არის საყოველთაო სამხედრო ვალდებულება (მუხ. 145), რომელიც წარმოადგენს კანონს და მოქალაქეთა სპატიო მოვალეობას. სოციალისტური სამშობლოს დაცვა არის უწმინდესი მოვალეობა. სამშობლოს ღალატი ისჯება საბჭოთა კანონის მკაცრი სისასტიკით, როგორც ყველაზე უფრო მძიმე ბოროტმოქმედება (მუხ. 146).

რამოდენიმე სიტყვა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. ჩვენს ძველ კონსტიტუციებში სახელმწიფო ენის შესახებ ცალკე განყოფილება არ იყო. 1922 წელს მიღებული კონსტიტუციის მე-6-ე მუხლში და აგრეთვე 1926 წელს მიღებულ კონსტიტუციის მე-10-ე მუხლში ნათქვამი იყო შემდეგი:

„საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა“; იმავე მუხლის შენიშვნა ამბობდა: „ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარების და სამშობლო ენის ხმარების უფლება, როგორც საბჭოთა, ეროვნულ, კულტურულ, ისე საერთო სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში. ეს განმეორებულია 1926 წელს მიღებულ კონსტიტუციაშიც.

ახალ კონსტიტუციის პროექტით ცალკე მუხლები აქვს მიძღვნილი სახელმწიფო ენას. ასეთი მუხლებია: 156, 157, 158.

156 მუხლი სიტყვა სიტყვით იმეორებს წინანდელ კონსტიტუციების მუხლს სახელმწიფო ენის შესახებ, ხოლო 157 და 158 მუხლები იძლევიან მეტად საყურადღებო განმარტებებს სახელმწიფო ენის ხმარების შესახებ, როგორც საკუთრივ საქართველოს რესპუბლიკაში, ისე ავტონომიურ ერთეულებშიაც.

მე-157 მუხლი ამბობს: „კანონები და აგრეთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულობანი და განმარტებანი, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიურ ოლქისათვის კი — ქართულ ენაზე და ავტონომიურ რესპუბლიკის ან ავტონომიურ ოლქის ენაზე“.

შემდეგ მე-158 მუხლში სწერია: „კანონები და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულობანი და განმარტებანი, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე და ქართულ ენაზე“.

ზევით დასახელებული მუხლები ნათლად ადგენენ სახელმწიფო ენის ხმარებას როგორც თვით საქართველოს რესპუბლიკაში, ისე ავტონომიურ ერთეულებში და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ენების ხმარებას.

ამიტომ ამ მუხლებს აქვთ მეტად დიდი მნიშვნელობა.

როგორც ვთქვით, ახალი სტალინური კონსტიტუციით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად შედის საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირში, როგორც სრულუფლებიანი წევრი.

ყველა ამ რესპუბლიკებმა უდიდესი ნაბიჯი გადადგეს წინ განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში. აღორძინდა მათი კულტურა, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური, გაიზარდა და განვითარდა საწარმოო ძალები, და ყველა ამის შედეგად საბჭოთა კავშირის ყველა ერებმა დაიმკვიდრეს ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება.

მასთან ერთად საბჭოთა რესპუბლიკებს შორის განმტკიცდა ნამდვილი ძმური კავშირი და ნამდვილი სტალინური მეგობრობა.

საბჭოთა კავშირი შეიქმნა უძლიერესი სახელმწიფო მთელ მსოფლიოში, იგი შეიქმნა უძლიერესი ფაქტორი საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის. საბჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის იმათი იმედების გახორციელების გარანტია არის. მან დაიმსახურა ნამდვილი სიყვარული არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა ერების, არამედ მთელი მსოფლიოს ყველა დაჩაგრულ ერების და ტყვეობა არ შეუყურებენ ჩვენს საბჭოთა კავშირს იმედით და სასოებით მთელი მსოფლიოს მილიონიანი მასები.

ამავე დროს ჩვენ ვართ მოწმენი იმისი, რომ ერთი ჯგუფი ყოვლად უსინდისო, ყოვლად გათახსირებულ და გადაგვარებულ პირების, — ჯგუფი, რომელსაც ასულდგმულებდა იუდა ტროცკი და მისი დამქაშები, სადღაც ჯურომულში, საიდუმლოდ, პარტიული ბილეთებით ჯიბეში, რომელთაც პარტია ნდობას უცხადებდა, — ამზადებდა შეთქმულებას საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მაგიერ კაპიტალიზმის დასამყარებლად, ამზადებდა ტერორისტულ აქტებს ამხანაგ სტალინის და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგ; ეს ჯგუფი მივიდა დაცემის უკანასკნელ წერტილამდე და დაიწყო მოლაპარაკება გერმანული ფაშიზმის აგენტებთან და აგრეთვე იაპონიის იმპერიალისტების აგენტებთან იმ მიზნით, რომ დაეთმოთ იმათთვის საბჭოთა კავშირის ტერიტორიები აღმოსავლეთით და დასავლეთით, თუ ეს სახელმწიფოები მათ აღმოუჩენდნენ დახმარებას ხელისუფლების სათავეში მოსაქცევად. ამავე მიზნით ისინი კისრულობდენ სადივერსიო აქტების ჩადენას, როგორც მშვიდობიანობის, ისე განსაკუთრებით, ომის დროს. ისინი ამზადებდნენ ნიადაგს სხვადასხვა შავნებლურ მოქმედებათა ჩადენით მრეწველობაში, ტრანსპორტზე, წითელ ჯარში, ხელი შეეწყოთ საბჭოთა კავშირის დამარცხებისათვის იმ ომში, რომელსაც ისინი თვითონ ამზადებდნენ.

გასული წლის აგვისტოში გასაძართლებულ იქნა კონტრრევოლუციონერების ზინოვიევ-კამენევის ჯგუფი, რომელიც წარმოადგენდა გაერთიანებულ ცენტრს ტროცკისტები და ზინოვიეველების. ამ ცოტა ხანში გასაძართლებული იქნა მეორე ანალოგიური ცენტრი პიატაკოვის, რადეკის, სოკოლნიკოვის, სერებრიაკოვის და სხვების შემადგენლობით. მთელი საბჭოთა კავშირის ხალხი ისე, როგორც მსოფლიოს მუშათა კლასი და საუკეთესო მოწინავე საზოგადოება, ზიზღით და აღშფოთებით უსმენდნენ ამ სრულიად გახრწნილ და გადაგვარებულ დამნაშავეთა, მკვლელთა, დივერსანტთა და გამცემელთა პროცესს. მთელმა მოწინავე საზოგადოებამ გაასამართლა ისინი და დაადასტურა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს განაჩენი.

მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გამოირკვა ზემოხსენებულ პროცესის დროს, ამ დაცემულ და გათახსირებულ ხალხს საქართველოშიაც ყოლიათ მონაწილეები თავის საზიზღარ მოქმედებაში.

ჩვენ ამას წინადაც ვიცოდით, რომ საქართველოში აკეთებდენ თავის ბნელ საქმეებს ტროცკისტები, როგორც ძაგ. ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, მ. ტორონჯაძე, ჯიქია, კიკნაძე და სხვები. პროცესის დროს პიატაკოვმა, რადეკმა და განსაკუთრებით სერებრიაკოვმა აღიარეს, რომ ბ. მდივანი ეწეოდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ხაზით მუშათა ტერორისტული აქტების მოსახდენად. პირველ რიგში ამხ. ბერიას წინააღმდეგ და რომ აგრეთვე მას დავალებული ქონდა გაეგზავნა მოსკოვში ტერორისტები ტროცკისტული აქტების მოსახდენად. გარდა ამისა სერებრიაკოვის ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ბ. მდივანს უკვე მოეხდინა შეთანხმება მენშევიკებთან, რომ თუ ვინიცობა ტროცკისტები გაიმარჯვებდენ, საქართველოს მიენიჭებოდა უპირატესი გავლენა ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე.

რა უნდა ვთქვათ ასეთ ყოვლად გახრწნილ პირებზე, ვისი სახელიც აწარმოებენ ასეთ მოლაპარაკებას ასეთ უტიფარ და საზიზღარ პროვოკაციას ბ. მდივანი და მისი დამქაშები საქართველოს და ქართველ ხალხის წინააღმდეგ. ეს დაცემულ და ყოვლად გათახსირებული პირები არა თუ სრულიად მოწყვეტილ არიან ხალხის მასებისაგან, არამედ ისინი განწირული არიან ისტორიულად; მათ როგორც მოღალატეებმა დაიმახსოვრეს საყოველთაო ზიზღი და ჩვენც მთელი ქართველი ხალხის და საქართველოს მთელი მოსახლეობის პირით მათ ზიზღს ვუცხადებთ. საზიზღარნი, ისინი ფიქრობდნენ საბჭოთა კავშირის დაღუპვას და დანგრევას, — იმ კავშირის, რომელიც დგას მთელ მსოფლიოში, როგორც ურყევი და მიუდგომელი ციხე-სიმაგრე სოციალიზმისა, რომელსაც თავისი ერთგულებით და თავგანწირვით ამაგრებს 170 მილიონიანი ხალხი ერთსულოვნად და რომლის ძლიერება თანდათან იზრდება და მტკიცდება. ამ საზიზღართ შეეძლოთ საბჭოთა კავშირის დანგრევაზე ოცნებობა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სრულიად დაბრმავდნენ.

ჩვენ ვიცით, რომ აქა იქ კიდევ მოიპოვებიან ამ გადაგვარებული ხალხის ნაბოლარები, რომლებიც თავისი ორგულობით პირფოთლეობით, ფარისევლობით შეიძლება კიდევ ატყუებდნენ თითო ოროლა გულუბრყვილო პირებს, მაგრამ სრულიად ამაოა იმათი შაგი ზრახვები, ისინი ვერ გაექცევიან ხალხის რისხვას და დღეს თუ ხვალ ისინიც გაინაწილებენ პიატაკოვებისა და რადეკების ხვედრს.

ამისათვის კიდევ და კიდევ საჭიროა სიფხიზლე ყველასაგან, რათა არ მიეცეთ საშუალება ამ ნაბოლარებს თავისი შავი განზრახვის სისრულეში მოყვანის ცდისა. ჩვენ ვიცით, რომ საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ დიდ საშიშროებას წარმოადგენს მსოფლიოში. ფაშისტური ამბოხება ესპანეთში და იქ გაჩაღებული სამოქალაქო ომი ამ ნიადაგზე წარმოადგენს მზადებას ომისათვის, უწინარეს ყოვლისა ჩვენი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კონტრრევოლუციონერების პიატაკოვის, რადეკის და სხვების პროცესზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ფაშისტური სახელმწიფოები ომს ამზადებენ და ასახელებენ კიდევაც 1937 წელს. ფაშისტები ფიქრობენ ჩვენი ქვეყნის დაპყრობას, საბჭოთა ხელისუფლების მოსპობას, კაპიტალიზმის განახლებას ჩვენს ქვეყანაში. ეს გარემოება ჩვენ კიდევ უფრო გვრაზმავს, კიდევ უფრო გვმატებს ძალას მტრების წინააღმდეგ. ჩვენ გვჯერა და გვწამს, რომ ფაშისტები ვერ მიაღწევენ თავის მიზანს. პირიქით, მომავალი ომი, თუ მას ფაშისტური სახელმწიფოები მოახვევენ თავზე საბჭოთა კავშირს, იქნება იმათი დასამარება.

ვეთაყვა რა ამ მოხსენებას, თქვენთან ერთად დავსძახებ:

— გაუმარჯოს საბჭოთა დიდ კავშირს!

— გაუმარჯოს ძლევამოსილ და უძლეველს წითელარმიას!

— გაუმარჯოს ლენინის და სტალინის დიად პარტიას!

— გაუმარჯოს ხალხთა ბრძენ ბელადს დიდ სტალინს!

— ჩვენი მხურვალე სალამი ესპანეთის ხალხს, რომელიც უდიდესი თავგანწირვით ებრძვის ფაშისტურ მეამბოხე ღენერლებს, — საერთაშორისო ფაშიზმის აგენტებს!

— ჩვენი მხურვალე სალამი აზერბაიჯანის და სომხეთის ძმურ ხალხებს!

(მხურვალე ტაში, „ინტერნაციონალი“ — ყველანი დგებიან ფეხზე).

რაიონული პარტიული კონფერენციები

სტალინის რაიონში

ფართო შინაპარტიული დემოკრატიისა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა თბილისის პარტორგანიზაციის სტალინის რაიონის მე-13 პარტკონფერენციამ. 293 დელეგატიდან კონფერენციაზე პატიოსნად არჩეულ იქნა 89 კაცი. რაიონის მოწინავე სტახანოველები და წარჩინებული, ორდენოსანი ადამიანები.

პარტიის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. კარანაძემ თავის სიახლე-გარეშო მოხსენებაში დაწვრილებით დაასურათა რაიკომის მუშაობა მე-12 პარტკონფერენციიდან განვლილი პერიოდის მანძილზე.

რაიონში მაღალ აქტიურ დონეზე ჩაიარა ძირეულ პარტორგანოთა საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიამ. რაიკომმა ჯერ კიდევ საანგარიშო და საგადარჩევო კამპანიის დიდი ხნით ადრე შეამოწმა შინაპარტიული დემოკრატიის მდგომარეობა დიდ საწარმოებში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად იყო საქმე კალინინის სახელობის ქარხანაში. აქ პარტკომი ხშირად საერთო კრების მაგიერობას ეწეოდა. სოცშეჯიბრების, სტახანოვურ მოძრაობის, თანამგრძნობებთან მუშაობის საკითხებს, მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებებს ქარხანაში პარტკრებებზე არ იხილავდნენ. პარტკომი უკეთეს შემთხვევაში ამ საკითხების შესახებ მოახსენებდა ხოლმე კრებას ინფორმაციის წესით, ხშირად კი დუმილით კმაყოფილდებოდა. ასე, გამოჰყავდა და რა თავის შემადგენლობიდან პარტიული კომიტეტის წევრი გუკასოვი, პარტკომმა საჭიროდ არ დაინახა, რომ ეს ეცნობებინა პარტიული მასისათვის, რითაც უხეშად დაარღვია შინაპარტიული დემოკრატია.

სრულიად სხვა სურათია ტრამვაის, თამბაქოს ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა პარტორგანიზაციებში. აქ პარტკომთა გადაწყვეტილებებს სწრაფად აცნობებდნენ ხოლმე ფართო პარტიულ მასას. პარტიულები აქ არა თუ იხილავდნენ პარტკომის ყველა გადაწყვეტილებას, არამედ პარტიის რაიკომის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა კურსშიაც იყვნენ.

მიხაპაოტიული დემოკრატიის გაძლიერებამ აამაღლა კომუნისტთა რევოლუციური სიფხიზლე, მათი აქტივობა.

პირველად პარტორგანიზაციების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის დროს გამძიფლავნებულ იქნა ხალხ

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ᲮᲐᲠᲐᲛᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲠᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 16 თებერვალი (საქმიანი). ჰავასის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი ადასტურებს, რომ მეამბოხეთა უკანასკნელ იერიშს ხარამის სექტორში განსაკუთრებით გააფთრებული ხასიათი ჰქონდა. მაგრამ მეამბოხეთა ყოველგვარი ცდა გაერღვიათ მთავრობის ჯარების ხაზი უშედეგოდ დამთავრდა. ამ უბანზე მეამბოხეთა შეტევაში მონაწილეობას ღებულობდნენ იტალიისა და გერმანიის ჯარები.

ბრძოლა დაიწყო ორი საათის საარტილერიო მომზადების შემდეგ. შეანბოხეთა პირველი იერიში (გათენებისას) რესპუბლიკელებმა მოიგერიეს. რესპუბლიკელმა მედინამაცელებმა ხელყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა ტანკებს. შუადღის შემდეგ მეამბოხეებმა კვლავ განიმეორეს იერიში და უკან დაიხიეს მხოლოდ ხახგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, ამასთან ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული დასტოვეს.

მცირე გადაჯგუფების შემდეგ მეამბოხეები შეეცადნენ ჩაეტარებინათ კიდევ ერთი ოპერაცია, რათა მოულოდნელად თავს დასხმოდნენ მთავრობის ჯარებს. ეს ცდა მოგერიებულ იქნა რესპუბლიკელთა ტყვიამფრქვევების ცეცხლით. საღამოსათვის მთავრობის ნაწილებმა კონტრშეტევით უკუაგდეს მეამბოხენი თავიანთ წინანდელ პოზიციებზე.

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ᲑᲘᲚᲑᲐᲝ, 16 თებერვალი (საქმიანი). ბისკაის ფრონტზე ეიბარის, ელგეტისა და ოჩანდიანოს რაიონებში საარტილერიო სროლა სწარმოებს. უბადეას უბანზე რესპუბლიკის არტილერიამ ჩაიჩუმა მეამბოხეთა ბატარეები. მოწინააღმდეგის სამი თვითმფრინავი აწარმოებდა რესპუბლიკელთა პოზიციების დაზვერვას.

მეამბოხენი განაგრძობენ მშვიდობიანი მოსახლეობის გადასახლებას თავის მიერ დაკავებული ტერიტორიიდან.

ასტურიის ფრონტზე პუერტო დელ პონტონის რაიონში, რიანიოს ჩრდილოეთით, რესპუბლიკის ჯარებმა გათენებისას იერიში მიიტანეს მეამბოხეთა პოზიციებზე. მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, რესპუბლიკელებმა ორი საათის ბრძოლის შემდეგ დაიკავეს მეამბოხეთა პოზიციები და წინ წაიწიეს 7 კილომეტრით. პანიკით მოცულმა მოწინააღმდეგემ უკან დაიხია და ბრძოლის ველზე დასტოვა დაჭრილები და მოკლულები, აგრეთვე დიდძალი საომარი მასალა, იარაღი და სურსათი. გრუელიოსის სექტორში, ოვიედოდან ჩრდილო-დასავლეთით, სწარმოებს საარტილერიო სროლა. ამ რაიონში რესპუბლიკელთა მხარეზე გადავიდა მეამბოხეთა ერთი უნტეროფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი.

„ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙ ᲯᲐᲘᲛᲡᲘᲡ“ ᲞᲐᲠᲘᲖᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 თებერვალი (საქმიანი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პარიზელი კორესპონდენტის სიტყვით, ვარგად ინფორმირებული წყაროებიდან მან შეიტყო, რომ საფრანგეთსა და ინგლისს განზრახვა აქვთ ხელი აიღონ ესპანეთში ჩაურევლობის პოლიტიკაზე. კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ინგლისმა დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება ფრანკოსთან და მიიღო მისი რწმუნება, რომ მომავალში მას განზრახული არა აქვს დასთმოს ესპანეთის ტერიტორიის არცერთი ნაწილი. ფრანკო ინგლისს შეპპირდა აგრეთვე სამთამადნო კონცესიებს. საფრანგეთის ელჩს ლონდონში 12 თებერვალს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგთან ვანსიტარტთან. ამის შემდეგ საფრანგეთის ელჩი გაწვეულ იქნა პარიზში და 13 თებერვალს შეხვდა დელბოსს. პოლიტიკის შეცვლას მოსახლეობას არ აცნობებენ, ვინაიდან აშინებთ მტრული კრიტიკა მემარცხენე წრეების მხრივ, რომლებიც ახლა მხარს უჭერენ მთავრობას. ალბათ, წამოაყენებენ ჰუმანიტარული ხასიათის მოსაზრებებს, რომ საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა გათავდეს ომი ესპანეთშიო და სხვ. ინგლისს, სწერს კორესპონდენტი, — არ სურს იმას შეურიგდეს, რომ გენერალი ფრანკო თავის გამარჯვებას მხოლოდ გერმანელებსა და იტალიელებს უმადლოდეს.

„საფრანგეთში, — კორესპონდენტის სიტყვით, — შიშობენ, რომ სახალხო ფრონტის უკიდურესი ფრთა საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებს მოურიდებლად დასდებს ბრალს იმაში, რომ მათ იმთავითვე უარი სთქვეს დახმარება გაეწიათ მადრიდისათვის და ამრიგად მეამბოხეებს საშუალება მისცეს გერმანიისა და იტალიის დახმარება გამოიყენონ ესპანეთში ფაშისტური რეჟიმის დასამყარებლად და დემოკრატიის მოსასპობად“.

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲛᲘᲔᲡᲐᲛᲔᲑᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔᲗᲗᲐ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 16 თებერვალი (საქმიანი). პრესა მიესალმება ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტის ქვეკომისიაში მიღწეულ შეთანხმებას ესპანეთში მოხალისეთა გაგზავნის აკრძალვის შესახებ. ოპოზიციური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ძალიან გვიან აკრძალეს მოხალისეობა და რომ იტალია და გერმანია, ცხადია, ფიქრობენ, უკვე საკმაო ჯარები გავუგზავნეთ მეამბოხეებსო.

„ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙ ᲢᲐᲘᲛᲡᲘᲡ“ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 16 თებერვალი (საქმიანი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლონდონელ კორესპონდენტს ინფორმაციებიდან ეცოდინებოდა, ინგლისი ამბობს, ესპანეთში ჩაურევლობის ხელშეკრულებაზე ხელს ოფიციალურად ოთხშაბათს მოაწერ-ს. ინგლისი ამბობს, ინგლისი ამბობს, ინგლისი ამბობს,